

I. ფაკულტეტის დასახელება: ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა

II. პროგრამის დასახელება: აგრონომია

III. უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

IV. საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური, ძირითადი

V. სწავლების ენა: ქართული

VI. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი / კვალიფიკაცია: აგრონომიის ბაკალავრი/ BA of Agronomy

VII. პროგრამის მოცულობა და სტრუქტურა: პროგრამის ხანგრძლივობაა 4 აკადემიური წელი - 8 სემესტრი (თითოეულ სემესტრში 15 კვირა - სააუდიტორიო მეცადინეობა, 2 კვირა - დასკვნითი გამოცდა, 3 კვირა - დამატებითი გამოცდა).

საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს (1 კრედიტი 25 საათი). მათ შორის:

თავისუფალი სავალდებულო სასწავლო კურსები - **29 კრედიტი;**

ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - **146 კრედიტი;**

სავალდებულო მოდული - ექსტენცია და აგროგანათლება - **40 კრედიტი;**

თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსები - **25 კრედიტი**

240 კრედიტი მოიცავს სტუდენტის აკადემიური დატვირთვის, როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელ მუშაობას – სულ 6000 საათს.

VIII. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: აგრონომიის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლა შეუძლია საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქეებს. პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს (საქართველოს მოქალაქე), რომელმაც გაიარა ერთიანი ეროვნული გამოცდები და მიღებული ქულების კოეფიციენტებით რანჟირების საფუძველზე მოიპოვა უფლება ისწავლოს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის აგრონომიის საბაკალავრო პროგრამაზე.

უნივერსიტეტში ჩარიცხვის აუცილებელი წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით გავლის შემდეგ აბიტურიენტმა სასწავლებლის მიერ დადგენილ ვადებში გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია.

საბაკალავრო პროგრამებზე ჩარიცხვის უფლება აქვს საქართველოს მოქალაქე სომხურენოვან, აზერბაიჯანულენოვან, აფხაზურენოვან და ოსურ ენოვან აბიტურიენტებს, ვინც წარმატებით ჩააბარებს სომხურ და აზერბაიჯანულ ენაზე უნარ-ჩვევების ტესტს და აფხაზურ ან ოსურ ენას ერთიან ეროვნულ გამოცდებზე და გაივლის ქართული ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას.

პროგრამაზე უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. უცხოელი მოქალაქეებისათვის სწავლის აუცილებელი პირობაა ქართული ენის B1+/B2 დონეზე ცოდნა, რადგან პროგრამაზე სწავლა ხორციელდება ქართულ ენაზე. უცხო ქვეყნის მოქალაქეები წარმოადგენენ სერტიფიკატს ქართული ენის შესაბამის დონეზე ფლობის შესახებ, ან აბარებენ გამოცდას ქართულ ენაში. სერტიფიკატის აღება უცხო ქვეყნის მოქალაქეებს შეუძლიათ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრში უცხოელთათვის ქართულ ენაში მომზადების პროგრამის ფარგლებში. პროგრამაზე ასევე შეუძლიათ სწავლა გააგრძელონ საქართველოს და უცხო ქვეყნის აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებმა და უნივერსიტეტის სხვა სპეციალობის სტუდენტებმა. საბაკალავრო პროგრამაზე სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მობილობის წესით სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, შიდა მობილობის ფარგლებში—უნივერსიტეტში არსებული წესის შესაბამისად. ასევე, უნივერსიტეტში არსებული წესის

შესაბამისად პროგრამაზე შესაძლებელია განხორციელდეს სტუდენტების ჩარიცხვა გაცვლითი პროგრამის ფარგლებში. უნივერსიტეტში არსებული წესის შესაბამისად პროგრამაზე შესაძლებელია განხორციელდეს სტუდენტის ჩარიცხვა გაცვლითი პროგრამის ფარგლებშიც.

IX. პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი:

სოფლის მეურნეობის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი **ზაირა ტყეშელაშვილი**;

ბიოლოგიის დოქტორი, მოწვეული სპეციალისტი **ნანა ზუბაშვილი**.

X. პროგრამის აკრედიტაცია: აკრედიტებული - 01.02. 2021 წ. №49696

XI. პროგრამის მიზანი:

1. მოამზადოს აგრონომიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე კონკურენტუნარიანი და მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, რომელსაც აქვს აგრონომიაში ინტეგრირებული, ფართო თეორიული ცოდნა;
2. აღჭურვოს სპეციალისტი საქართველოში და მსოფლიოში გავრცელებული ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების კულტივირების, შერჩევისა და განხორციელებისათვის აუცილებელი ცოდნითა და უნარებით;
3. შეძლოს აგრონომიის სფეროს შესწავლით წვლილი შეიტანოს აგრონომიის დარგის განვითარებასა და მოსახლეობის ეკოლოგიურად უსაფრთხო პროდუქციით უზრუნველყოფაში.

XII. სწავლის შედეგი:

	სწავლის შედეგები
ცოდნა და გაცნობიერება	<p>აგრონომიის საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ, სტუდენტს აქვს:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. კლიმატური ფაქტორების გათვალისწინებით სასოფლო სამეურნეო კულტურების მოყვანის თანამედროვე აგროტექნოლოგიების შესახებ ფართო ცოდნა; 2. აგრარულ სფეროში მომუშავე სტრუქტურების საწარმოო პროცესების, აგრეთვე ექსტენციის დაგეგმვის, ორგანიზებისა და მართვის შესახებ ფართო ცოდნა; ახალი მარკეტინგული პროდუქტის შექმნისა და ფასწარმოქმნის სტრატეგიების ინტერპრეტირების, წარმატებული აგრარული პროექტების შემუშავების, აგრარული ბიზნესის მენეჯმენტის შეფასების შესახებ ცოდნა სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარებისათვის.
უნარი	<p>აგრონომიის საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს შეუძლია:</p> <ol style="list-style-type: none"> 3. ნიადაგისა და მცენარეთა ბიოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით, მცენარეთა სასიცოცხლო ფაქტორების რეგულირება; ნაკლები დანახარჯებით ეკოლოგიურად უსაფრთხო მაღალი მოსავლის მიღება; დაგეგმოს და განახორციელოს გარემოზე დამზოგი ზემოქმედებით არაორგანული და ორგანული სასუქების გამოყენების ღონისძიებები; სასუქების ნორმების, ფორმების, ხერხების და ვადების მითითებით შეიმუშაოს განოყიერების სისტემები. 4. დაგეგმოს და განახორციელოს ნიადაგდაცვითი ღონისძიებები მემცენარეობის და მეცხოველეობის მიმართულებების ფერმერულ მეურნეობებში; ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების კულტივირება, მათთვის აგროტექნოლოგიების შერჩევა და განხორციელება; მეცხოველეობისთვის საკვების წარმოება, ნიადაგისა და მცენარეთა დაცვა; შეძენილი დარგობრივი ცოდნის გამოყენებით აგრონომიაში არსებული პრობლემების ანალიზი და შეფასება, მიღებული შედეგების შეჯერება და შესაბამის დასკვნის გაკეთება;

	<p>5. ერთწლიან და მრავალწლოვან კულტურათა, სათესლე და სარგავი მასალების გამოყვანა, თესვა-რგვის და მოვლითი სამუშაოებისთვის შესაბამისი, თანამედროვე ორგანული სოფლის მეურნეობის ტექნოლოგიების შერჩევა და განხორციელება, მოსავლის აღების შემდგომ მართვა.</p> <p>6. სტუდენტთა სწავლა-სწავლების, მოტივირების ხელშემწყობი და ხელისშემშლელი ფაქტორების ანალიზი; სასწავლო აქტივობების დაგეგმვა, პროცესის წარმართვა და შეფასება; კომუნიკაციის სახეების, ინტერპერსონალური კომუნიკაციის ხელშემწყობი და ხელისშემშლელი ფაქტორების გაანალიზება; პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნის, უნარებისა და გამოცდილების თვითშეფასება და პროფესიული განვითარების შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა.</p> <p>7. ქართული და უცხოენოვანი წყაროებიდან პროფესიული ინფორმაციის მოძიება, კრიტიკული შეფასება და დამუშავება ინფორმაციული ტექნოლოგიების დახმარებით; დასკვნების ნათლად, ზუსტად და ადრესატისთვის მისაღები ფორმით მიწოდებას (როგორც წერილობით, ასევე ზეპირად); პროფესიული საქმიანობის მიმართ საკუთარი და სხვების დამოკიდებულების პატივისცემა/ დაფასება; პროფესიული ეთიკის დაცვა.</p>
<p>პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა</p>	<p>აგრონომიის საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს შეუძლია:</p> <p>8. აგრონომიის დარგში- მცენარეთა სასიცოცხლო ფაქტორების რეგულირება; ეკოლოგიურად უსაფრთხო მაღალი მოსავლის მიღება, ექსტენციის დაგეგმვა, ორგანიზება და მართვა, წარმატებული აგრარული პროექტების შემუშავება, ასევე ღირებულებებისადმი თავისი დამოკიდებულების შეფასება და განვითარებაში წვლილის შეტანა; სხვების საქმიანობა და პროფესიულ განვითარებაზე პასუხისმგებლობის აღება, გუნდურობისა და ავტონომიურობის დემონსტრირება.</p>

სწავლის შედეგები	სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები				სამიზნე ნიშნულები/ სტუდენტთა რაოდენობა საერთო რაოდენობის წილთან მიმართებით
	პირდაპირი		არაპირდაპირი		
	მეთოდი	დრო	მეთოდი	დრო	
<p>1. აქვს კლიმატური ფაქტორების გათვალისწინებით სასოფლო სამეურნეო კულტურების მოყვანის თანამედროვე აგროტექნოლოგიების შესახებ ფართო ცოდნა;</p>	<p>კრებსითი გამოცდა</p>	<p>მე-5 სემესტრის ბოლოს</p>	<p>კურსდამთავრებულთა გამოკითხვა; დამსაქმებლების გამოკითხვა.</p>	<p>პროგრამის დასრულების შემდგომ მუშაობის დაწყების პირველ წელს</p>	<p>A-9% B-25% C-30% D-24% E-10%. F- 1 %. Fx -1</p>
<p>2. აქვს აგრარულ სფეროში მომუშავე სტრუქტურების საწარმოო პროცესების, აგრეთვე ექსტენციის დაგეგმვის, ორგანიზებისა და მართვის, შესახებ ფართო ცოდნა; ახალი მარკეტინგული პროდუქტის</p>	<p>კრებსითი გამოცდა</p>	<p>მე-8 სემესტრის ბოლოს</p>	<p>კურსდამთავრებულთა გამოკითხვა; პრაქტიკის ხელმძღვანელის გამოკითხვა;</p>	<p>პროგრამის დასრულების შემდგომ მუშაობის დაწყების პირველ წელს</p>	<p>A-8% B-24% C-28% D-24% E-14%. F- 1 %. Fx -1</p>

<p>შექმნისა და ფასწარმოქმნის სტრატეგიების ინტერპრეტირების. წარმატებული აგრარული პროექტების შემუშავების, აგრარული ბიზნესის მენეჯმენტის შეფასების შესახებ ცოდნა სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარებისათვის</p>			<p>დამსაქმებლების გამოკითხვა.</p>		
<p>3, შეუძლია ნიადაგისა და მცენარეთა ბიოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით, მცენარეთა სასიცოცხლო ფაქტორების რეგულირება; ნაკლები დანახარჯებით ეკოლოგიურად უსაფრთხო მაღალი მოსავლის მიღება; დაგეგმოს და განახორციელოს გარემოზე დამზოგი ზემოქმედებით არაორგანული და ორგანული სასუქების გამოყენების ღონისძიებები; სასუქების ნორმების, ფორმების, ხერხების და ვადების მითითებით შეიმუშავოს განოციერების სისტემები.</p>	<p>კრებსითი გამოცდა</p>	<p>მე-8 სემესტრის ბოლოს</p>	<p>კურსდამთავრებულთა გამოკითხვა; პრაქტიკის ხელმძღვანელის გამოკითხვა; დამსაქმებლების გამოკითხვა</p>	<p>პროგრამის დასრულების შემდგომ მუშაობის დაწყების პირველ წელს</p>	<p>A-8 % B-25% C-30% D-25% E-10%. F – 1 %. Fx -1</p>
<p>4. შეუძლია დაგეგმოს და განახორციელოს ნიადაგდაცვითი ღონისძიებები მემცენარეობის და მეცხოველეობის მიმართულებების ფერმერულ მეურნეობებში; ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების კულტივირება, მართვა აგროტექნოლოგიების შერჩევას და განხორციელებას; მეცხოველეობისთვის საკვების წარმოება, ნიადაგისა და მცენარეთა დაცვა; შეძლია შექმნილი დარგობრივი ცოდნის გამოყენებით, აგრონომიაში არსებული პრობლემების ანალიზი და შეფასება, მიღებული შედეგების შეჯერება და შესაბამის დასკვნის გაკეთება;</p>	<p>კრებსითი გამოცდა</p>	<p>მე-8 სემესტრის ბოლოს</p>	<p>კურსდამთავრებულთა გამოკითხვა; პრაქტიკის ხელმძღვანელის გამოკითხვა; დამსაქმებლების გამოკითხვა</p>	<p>პროგრამის დასრულების შემდგომ მუშაობის დაწყების პირველ წელს</p>	<p>A-8 % B-25% C-30% D-25% E-10%. F – 1 %. Fx -1</p>
<p>5. შეუძლია ერთწლიან და მრავალწლოვან კულტურათა,</p>	<p>კურსების: „სასოფლო</p>	<p>მე-8 სემესტრის</p>	<p>კურსდამთავრებულთა</p>	<p>პროგრამის დასრულების</p>	<p>A-8 % B-25%</p>

<p>სათესლე და სარგავი მასალების გამოყვანა, თესვა-რგვის და მოვლითი სამუშაოებისთვის შესაბამისი, თანამედროვე ორგანული სოფლის მეურნეობის ტექნოლოგიების შერჩევა და განხორციელება, მოსავლის აღების შემდგომ მართვა.</p>	<p>პროექტების მართვა, „საველე პრაქტიკა“, „პროფესიული რეფლექსია“ შეფასების კომპონენტები¹</p>	<p>ბოლოს</p>	<p>გამოკითხვა; პრაქტიკის ხელმძღვანელის გამოკითხვა; დამსაქმებლების გამოკითხვა</p>	<p>შემდგომ მუშაობის დაწყების პირველ წელს</p>	<p>C-30% D-25% E-10% F – 1 %. Fx -1</p>
<p>6. შეუძლია გაანალიზოს სტუდენტთა სწავლა-სწავლების, მოტივირების ხელშეწყობი და ხელისშემშლელი ფაქტორების; სასწავლო აქტივობების დაგეგმვა, პროცესის წარმართვა და შეფასება; კომუნიკაციის სახეების, ინტერპერსონალური კომუნიკაციის ხელშეწყობი და ხელისშემშლელი ფაქტორების გაანალიზება; პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნის, უნარებისა და გამოცდილების თვითშეფასება და პროფესიული განვითარების შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა.</p>	<p>კრებსითი გამოცდა</p>	<p>მე-7 სემესტრის ბოლოს</p>	<p>კურსდამთავრებულთა გამოკითხვა; პრაქტიკის ხელმძღვანელის გამოკითხვა; დამსაქმებლების გამოკითხვა</p>	<p>პროგრამის დასრულების შემდგომ მუშაობის დაწყების პირველ წელს</p>	<p>A-8 % B-25% C-30% D-25% E-10% F – 1 %. Fx -1</p>
<p>7. შეუძლია ქართული და უცხოენოვანი წყაროებიდან პროფესიული ინფორმაციის მოძიებას, კრიტიკული შეფასება და დამუშავებას; დასკვნების ნათლად, ზუსტად და ადრესატისთვის მისაღები ფორმით მიწოდებას (როგორც წერილობით, ასევე ზეპირად); პროფესიული საქმიანობის მიმართ საკუთარი და სხვების დამოკიდებულების პატივისცემას/ დაფასებას; პროფესიული ეთიკის დაცვას.</p>	<p>კრებსითი გამოცდა</p>	<p>მე-7 სემესტრის ბოლოს</p>	<p>კურსდამთავრებულთა გამოკითხვა; პრაქტიკის ხელმძღვანელის გამოკითხვა; დამსაქმებლების გამოკითხვა</p>	<p>პროგრამის დასრულების შემდგომ მუშაობის დაწყების პირველ წელს</p>	<p>A-8 % B-25% C-30% D-25% E-10% F – 1 %. Fx -1</p>
<p>8. შეუძლია აგრონომიის დარგში მცენარეთა სასიცოცხლო ფაქტორების რეგულირება; ეკოლოგიურად უსაფრთხო მაღალი მოსავლის მიღება, ექსტენციის დაგეგმვა,</p>	<p>საბაკალავრო ნაშრომი/პროექტი</p>	<p>მე8 სემესტრის ბოლოს</p>	<p>კურსდამთავრებულთა გამოკითხვა; პრაქტიკის ხელმძღვანელის გამოკითხვა</p>	<p>პროგრამის დასრულების შემდგომ მუშაობის დაწყების პირველ წელს</p>	<p>A-8 % B-25% C-30% D-25% E-10% F – 1 %. Fx -1</p>

¹მე-5 სწავლის შედეგის შეფასების კომპონენტები და დამადასტურებელი მტკიცებულებები იხილეთ დამატებითი პროგრამა 2-ის სწავლის შედეგების შეფასებაში.

<p>ორგანიზება და მართვა, წარმატებული აგრარული პროექტების შემუშავება, ასევე ღირებულებებისადმი თავისი დამოკიდებულების შეფასება და განვითარებაში წვლილის შეტანა; სხვების საქმიანობა და პროფესიულ განვითარებაზე პასუხისმგებლობის აღება, გუნდურობისა და ავტონომიურობის დემონსტრირება.</p>			<p>გამოკითხვა; დამსაქმებლებს ის გამოკითხვა</p>		
--	--	--	--	--	--

XVI . დასაქმების სფერო:

- სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრები;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები;
- ბიზნეს ცენტრები;
- სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობი არასამთავრობო ორგანიზაციები;
- პროფესიული კოლეჯები / სასწავლებლები;
- აგრარული საწარმოები;
- კერძო ექსტენცია;
- კერძო მომწოდებლები (აგრომალაზია, საკონსულტაციო ფირმები და სხვ.);
- ფერმერული მეურნეობები და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები;

სტუდენტის შეფასება

- სტუდენტის ცოდნის შეფასება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესისა (განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანება №3) და უნივერსიტეტში არსებული წესის შესაბამისად.
- კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ.
- სტუდენტთა შეფასება ხორციელდება შემდეგი წესით:
- ა. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში (სასწავლო კურსი, პრაქტიკა, საბაკალავრო ნაშრომი ან სხვ.) შეფასება ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით.
- ბ. სასწავლო კურსი ათვისებულად ითვლება, თუ სტუდენტის საბოლოო შეფასება ტოლია ან მეტია 51%.
- გ. საბაკალავრო ნაშრომის შეფასება დადებითია, თუ ნაშრომის შეფასება ტოლია ან მეტია 51%.
- შეფასების სისტემით დასაშვებია
- ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:
 - ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
 - ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
 - ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
 - ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
 - ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.
- ბ) ორი სახის უარყოფით შეფასება:

- ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
- სასწავლო კომპონენტში უარყოფითი შეფასების (FX) მიღების შემთხვევაში სტუდენტს დამატებით დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში (საბაკალავრო ნაშრომის განმეორებით მომზადება იმავე ან მომდევნო სემესტრში). დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.
- სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სემესტრული შეფასების ფორმებია:
- შუალედური შეფასება (ერთჯერადი ან მრავალჯერადი);
- დასკვნითი შეფასება.
- სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემაში შეფასების ფორმებს შორის ხვედრითი წილის განაწილება ხდება სასწავლო კომპონენტის სილაბუსით. ასევე სილაბუსით განისაზღვრება სასწავლო კომპონენტის შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები.
- საბოლოო შეფასება გამოითვლება შუალედური და დასკვნითი შეფასებების დაჯამების საფუძველზე.
- შეფასების თითოეულ ფორმაში განსაზღვრული უნდა იყოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60 %-ს. სასწავლო კურსის პედაგოგი უფლებამოსილია შეფასების კომპონენტშიც განსაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.
- შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრების ჯამი უნდა შეადგენდეს 51 ქულას.
- დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც სილაბუსით გათვალისწინებული შუალედური შეფასების კომპონენტების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი/ზღვრები დამლეული აქვს. შესაძლებელია შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის მისაღწევად დასკვნით გამოცდამდე სტუდენტმა განმეორებით ჩააბაროს სილაბუსით გათვალისწინებული შუალედური კომპონენტები. დასკვნით გამოცდაზე სილაბუსით დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარზე ნაკლები შეფასების მიღების შემთხვევაში, თუ სტუდენტს შუალედური შეფასებითურთ ჯამურად უგროვდება მაქსიმალური შეფასების 41-50%, განმეორებით აბარებს დასკვნით გამოცდას. ხოლო, თუ სტუდენტი დასკვნით გამოცდაზე სილაბუსით დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარზე ნაკლებ შეფასებას მიიღებს და სტუდენტს შუალედური შეფასებითურთ ჯამურად უგროვდება მაქსიმალური შეფასების 40% დანაკლები, საბოლოო შეფასებად უფორმდება F-0. ასეთ შემთხვევაში სტუდენტი კურსს გაივლის განმეორებით.
- დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50% მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფორმდება F-0 შეფასება და სტუდენტი კურსს გაივლის განმეორებით.
- შუალედური და დასკვნითი გამოცდები საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის (საგნის) თავისებურების გათვალისწინებით, ტარდება წერილობით, ზეპირად, ელექტრონულად ან შერეული სახით.

- სტუდენტთა აკადემიური დავალიანების დასაფარავად სასწავლო წლის განმავლობაში პროგრამით გათვალისწინებულ 60 კრედიტის ზევით დეკანატის მიერ შეიძლება დაინიშნოს 15 კრედიტი.
- სტუდენტის მიერ დამატებითი სალექციო კურსების მოსმენა ხორციელდება ძირითად ჯგუფებთან ერთად.
- დამატებით სალექციო კურსებზე სტუდენტთა რეგისტრაცია ხორციელდება სემესტრის ადმინისტრაციული რეგისტრაციის დამთავრებიდან ორი კვირის განმავლობაში.
- თუ სტუდენტი ძირითად სასწავლო ვადაში ვერ ასწრებს აკადემიური დავალიანების დაფარვას, დეკანატის მიერ შეიძლება დაინიშნოს დამატებითი სემესტრი/ები (მაქსიმუმ ოთხი).
- სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევის შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.